ტურიზმი სოფლად, საქართველოს მთიან რეგიონებში - სოფლის მეურნეობის მასტმულირებელი თუ ჩამნაცვლებელი მიმართულება

სტუდენტი: ნინო თიგიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

სამაგისტრო პროგრამა „ბიზნესის ადმინისტრირება, ტურიზმი“

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი ქემერტელიძე

მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021 წელი

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

ნინო თიგიშვილი

03.07.2021

აბსტრაქტი

საქართველოში ტურიზმის კუთხით მომუშავე ორგანიზაციების მიერ განხორციელებული კვლევები ამბობს, რომ ტურიზმი არამდგრადი განვითარების გზას ადგას და მასობრივი ტურისტული დანიშნულების ადგილები მნიშვნელოვანი საფრთხეების წინაშე დგანან. ერთ-ერთი ასეთი პრობლემაა სოფლის მეურნეობის ჩანაცვლება ტურიზმით, რაც ამცირებს ადგილობრივი წარმოების პროდუქტს და ანაცვლებს მას იმპორტირებულით, შესაბამისად აღნიშნული კვლევა მიზნად ისახავს გაარკვიოს „სოფლად ტურიზმი არის სოფლის მეურნეობის მასტიმულირებელი თუ ჩამნაცვლებელი მიმართულება“ საქართველოს ტურისტულად განვითარებულ მთიან რეგიონებში და იმ პრობლემის არსებობის შემთხვევაში დასახოს გზა აღნიშნულის მოგვარებისათვის.

კვლევის კითხვებზე პასუხის გასაცემად განხორციელდა თემასთან დაკავშირებული მეორეული წყაროების მოძიება და ანალიზი, ასევე ორი პირველადი კვლევის მეთოდის გამოყენება: 1. რაოდენობრივი სტრუქტურიზებული ინტერვიუ ჩატარდა საქართველოს ტურისტულად აქტიურ 5 მაღალმთიან გეოგრაფიულ არეალში ფუნქციონირებად საოჯახო სასტუმროებთან და 2. არასტრუქტურიზებული ჩაღრმავებული ინტერვიუს აღება მოხდა ტურიზმის მიმართულებით მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებსა და აკადემიურ სფეროში მოღვაწე პირებთან. რაოდენობრივი კვლევის ანალიზი მოხდა SPSS სისტემის დახმარებით, ხოლო ინტერვიუების - სიტყვიერი ანალიზის საშუალებით.

შედეგები აჩვენებს რომ ყველაზე პოპულარულ მთის დანიშნულების ადგილებს ნამდვილად აქვთ პრობლემა სოფლის მეურნეობის ტურიზმით ჩანაცვლების, თუმცა ეს ტენდენცია ჯერ არ შეხებია ყველა გეოგრაფიულ არეალს, შესაბამისად მნიშვნელოვანია მსოფლიოში აპრობირებული მდგრადი განვითარების მოდელის გამოყენება და სოფლად ტურიზმის ისეთ ფორმებზე აქცენტის გაკეთება როგორიცაა: აგროტურიზმი, სოფლის ტურიზმი (rural tourism), ფერმერული ტურიზმი და სხვ. რაც ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის განვითარებას სოფლად ტურიზმთან ინტეგრირებულად. სოფლის ტურიზმის განვითარებით შესაძლებელია მიგრაციის, ეკონომიკური სიდუხჭირის და სხვა მრავალი პრობლემის მოგვარება, მითუმეტეს რომ

საქართველოს დიდი პოტენციალი გააჩნია ამ კუთხით და გარკვეული ქმედითი ნაბიჯებიც უკვე გადადგმულია სოფლად ტურიზმის მდგრადად განვითარებისათვის.
საკვანძო სიტყვები: ტურიზმი, სოფლის მეურნეობა, მაღალმთიანი რეგიონი, სოფლის ტურიზმი, აგროტურიზმი, მდგრადი განვითარება.

Abstract

Studies conducted by organizations working in the field of tourism in Georgia say that tourism is on the path of unsustainable development and mass tourist destinations are facing significant threats. One such problem is the replacement of agriculture with tourism, which reduces the product of local production and replaces it with imported, therefore, this study aims to find out "rural tourism is a stimulating or substituting direction of agriculture" in the mountainous regions of Georgia and if there is a problem lay the way to solve it.

Secondary sources related to the topic were found and analyzed to answer the research questions. Two primary research methods were also used: 1. Quantitative structured interviews were conducted with family hotels operating in Georgia's five most active highland geographical areas, and 2. Unstructured in-depth interviews were conducted with representatives of non-governmental organizations working in the field of tourism and academics. Quantitative research analysis was performed using the SPSS system, and interviews - through verbal analysis.

The results show that the most popular mountain destinations have a problem with replacing agriculture with tourism, although this trend has not yet affected all geographical areas, so it is important to use a world-proven sustainable development model and focus on such forms of tourism as agritourism, rural tourism, farm tourism, etc. which will contribute to the development of agriculture integrated with tourism. The development of rural tourism can solve migration, economic hardship, and many other problems, especially since Georgia has great potential in this regard and some effective steps have already been taken for the sustainable development of rural tourism.

Keywords: Tourism, Agriculture, Highland Region, Rural Tourism, Agrotourism, Sustainable Development.